№ 144 ივლისი 10, კვირა 1888 ივლისი 10, კვირა № 144

გაზეთი ღირს

| თთვე | მან. | კ. | თთვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 . . . . . . | 10 | — | 6 . . . . . . | 6 | — |
| 11 . . . . . . | 9 | 50 | 5 . . . . . . | 5 | 50 |
| 10 . . . . . . | 8 | 75 | 4 . . . . . . | 4 | 75 |
| 9 . . . . . . | 8 | — | 3 . . . . . . | 3 | 50 |
| 8 . . . . . . | 7 | 25 | 2 . . . . . . | 2 | 75 |
| 7 . . . . . . | 6 | 50 | 1 . . . . . . | 1 | 50 |

ცალკე ნომერი — ერთი შაური

# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას ახალ-ბებუთოვის ქუჩაზედ, სახლი № 9, ბ-ნ ხიდეკელის საგაზეთოს, გოლოვინის პროსპექტი, წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიას სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1888 საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1888

გაზეთი „ივერია“ პირველ ივლისიდამ წლის დამლევამდე ღირს 6 მან.

გამოვიდა და ისყიდება ახალი ქართული წიგნი

**მამიდა ასმათი**

მოთხრობა

გ. წერეთლისა.

გამოცემული „ივერიის“ რედაქციის მიერ.

ფასი 20 კ.

წიგნი ისყიდება მხოლოდ „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ წიგნთ-საწყობში, ბანკის ქარვასლაში, სასახლის ქუჩაზე.

ტფილისი, 9 ივლისი

ამაოდ არ ჩაიარა საპედაგოგიო მეცნიერებისათვის ვიტტორინოს, ვერჟერიოს, ვეჯიოს და ბოლოს ერაზმის ღვაწლმა და მეცადინეობამ. ამათმა საბუთიანმა და მართალმა მოძღვრებამ თანდათან ფეხი გაიდგა და მომხრენი მოიპოვა ჯერ კიდევ „განახლების“ ეპოქაშივე სხვა ქვეყნებშიაც. მაშინდელს საფრანგეთში გზა გაიკვალა ახალმა საპედაგოგიო თეორიამ გამოჩენილის და სახელ-განთქმულის ფრანსუა რაბლეს მეოხებითა. ფრანსუა რაბლე იყო ფრანგი. იგი დაიბადა 1483 წელს და გარდაიცვალა 1558 წელსა. თუმცა პირველ ხანში რაბლე ბერ-მონაზონი იყო, მაგრამ მერე შეიქმნა სახელოვან რომანისტად და უფრო სახელოვან სატირიკოსად. ამან სრულიად შეითვისა ახალი საპედაგოგიო მოძღვრება ერაზმისა და მის წინა-მყოფთა, ხოლო ისე-კი, როგორც დიდ-ბუნებოვანს კაცს შეჰფერის. რაც კარგი იყო ახალის პედაგოგიის მესვეურთა ნამოქმედარსა, თუ ნაწერებში, ყოველივე იგი მიიღო და ამ მიღებულზედ ფეხ-მოკიდებულმა უფრო წინ წასწივა საპედაგოგიო მოძღვრება და გაუმატა. ამის გამო მეტი არ იქნება ვსთქვათ, რომ მან შეჰქმნა საკუთარი თეორია აღზრდისა და ამაში დიდი გამჭრიახობა, დიდი ცოდნა და დიდი ჭკვა-გონება გამოიჩინა.

რაბლეს არ დაუწერია განსაკუთრებული საპედაგოგიო თხზულება და არც თვითონ ჰქონია სკოლა. ერაზმისებრ რაბლესაც თავის თავზედ ჰქონდა გამოცდილი მთელი სიმძიმე სქოლასტიურის სწავლებისა, რომელიც უფრო წვალება და წამება იყო ბაშვისა, ვიდრე წრთვნა და ზრდა, და რომელსაც აზრადა ჰქონდა მარტო წყალსავით დასწავლება წიგნისა და არა გაგება საგნისა და ქვეყნიერობისა. ამიტომაც, როცა დრო მოეცა, მთელის თავის მწვავის ენით სასაცილოდ აიგდო სქოლასტიური წესი სწავლებისა და დასწერა მწვავი სატირა-რომანი, რომელსაც „გარგანტუა“ ჰქვიან. ამ სატირაში ერთის მხრით სასაცილოდ აგდებული ძველი სქოლასტიური წესი სწავლებისა და მეორეს მხრით გამოხატულია იდეალი ახალის ჰუმანიურის სწავლა-წურთვნისა. ერთიც და მეორეც ნაჩვენებია ორის ყმაწვილის გამოსახვითა. ამ ორ ყმაწვილში ერთი ძველის წესით იზრდება და მეორე ახალის წესითა.

ახალი წესი, რაბლეს მიერ მოძღვრებული, იმაში მდგომარეობს, რომ ბაშვი რაც შეიძლება ნაკლებ იყოს მომწყვდეული ოთხ კედელს შუა, რადგანაც დახშული და დაბუღებული ჰაერი ოთახისა და უმოძრაობოდ ყოფნა სჩაგრავს ყმაწვილსა. ყმაწვილი დღეში უფრო ბევრი წილი გარედ უნდა იყოს, ჰაერზედ. არც ერთმა საათმა დღისამ უქმად არ უნდა ჩაუაროს ბაშვსა: ოსტატმა საცოდნელი და საწურთვნელი ყოველთვის უნდა მოუპოვოს ბაშვსა და ერთს წუთსაც უსაქმურად არ ამყოფოს. წიგნის კითხვისათვის და კლასში სასწავლებლად საკმაოა სადილის წინ სამი საათი და სადილს უკანაც სამი. სხვა დრო-კი შიგა და შიგ და რიგ-რიგად უნდა მოხმარდეს იმას, რომ მეგირდს გაეხსნას ნიჭი დაკვირვებისა, გამორკვევისა და ამიტომაც საჭიროა ბაშვმა თავის საკუთარის დანახვითა, საკუთარის მოაზრებითა და განსჯითა იცოდინოს ბუნება და ცხოვრება. სეირნობს ბაშვი, თუ ჰთამაშობს, თუ ტანის და აგებულების წარსამატებლად ვარჯიშობს, სჭამს თუ სვამს, ოსტატმა ბაშვის თვალი და გონება უნდა მიახედოს ყველაფერზედ, რაც-კი საცოდნელად და საწურთვნელად გამოსადეგია.

რაბლეს სისტემაში ტანის და აგებულების ვარჯიშობას დიდი ადგილი უჭირავს: ბურთაობა, კენჭნაობა, ცხენზედ ჯდომა, ცურვა, ჭიდაობა, — ყოველივე ეს საჭიროდ დანახულია რაბლესაგან. რაბლეს აზრით, მოზარდმა თავის თვალით უნდა გაიცნოს ცხოვრება და მისი ავ-კარგიანობა თავის ყურით გაიგონოს. ამიტომაც ოსტატი უნდა ატარებდეს ყმაწვილსა ფაბრიკებში, სამსჯავროში, სახელოსნოებში და ეკკლესიებში ქადაგების სასმენლადაც და, რაც საჭიროა და შესამჩნევი, შეამჩნევინოს და გააგებინოსო.

ასე გაჩნდა და ასე გაივსო ახალი მიმართულება პედაგოგიისა «განახლების» ეპოქაში, რომელიც სამუალო საუკუნოებს ეკუთვნის. რა თქმა უნდა, ეხლანდელს სკოლას ბევრში ჩამორჩება სკოლა „განახლების“ დროებისა. ერთი დიდი უპირატესობა ეხლანდელის სკოლისა ის არის, რომ იგი მარტო დიდ-კაცთათვის აღარ არის და საყოველთაოა როგორც დიდისა, ისე პატარისათვის, როგორც მდიდრისა, ისეც ღარიბისათვის. არც იმასა აქვს ეჭვი, რომ ეხლანდელს სკოლაში თვითონ ხერხი სწავლებისა ბევრად უკეთესია უწინდელზედ, მაგრამ ესეც-კი უნდა ითქვას, რომ ეხლანდელი სკოლა ბევრში უკან ჩამორჩომილია უწინდელზედ. დღეს ყოველიფერი შეწირული აქვს მარტო გონების გახსნას და დავიწყებულია, რომ ადამიანს, ჭკვა-გონების გარდა, გულიცა აქვს, რომელსაც კაი კაცობისათვის ისეთივე წურთვნა და გახსნა უნდა, როგორც ცოდნისათვის ჭკვა-გონებასა; დავიწყებულია, რომ კაცს ტანი და აგებულებაცა აქვს, რომელიც წურთვნითა და ვარჯიშობით უნდა გაღონიერდეს, გაჯანსაღდეს, გამაგრდეს, რადგანაც ჯან-მრთელობა უდიდესი მადლია, რომელსაც-კი ღმერთი მიანიჭებს ხოლმე თვისთა რჩეულთა. ამ მხრით ეხლანდელი სკოლა ბევრში ჩამოუვარდება „განახლების“ დროების სკოლებს, რომელთაც საგნადა ჰქონდათ თანასწორი წარმატება ადამიანის სულისა და ხორცისა. ეხლანდელი სკოლა, მართალია, ბევრს ცოდნას აწვდის მოსწავლესა, მაგრამ ცალ-მხრივ მოქმედობს, ხასიათის წურთვნას თითქმის თავს ანებებს და ტან-აგებულებას ადამიანისას არამც თუ ჰშველის, არამედ ჰღალავს.

იგი ავტორი, რომელმაც ყოველივე ზემოხსენებული გვაუწყა, ამბობს: „ყველამ იცის ეხლანდელის სკოლის ნაკლულევანება და საკუთაოდ არა ერთი და ორი ცვლილება და შევსება მოელის ეხლანდელს სკოლასა. ვინატრით, რომ შემცვლელთა და შემავსებელთა ხადისხან ყური ათხოვონ ისტორიას, ზოგჯერ უკანაც მიიხედონ და ზოგიერთი რამ შეითვისონ იმ დიდ-ბუნებოვან ჰუმანისტებ-პედაგოგთაგან, რომელთაც უმოძღვრეს კაცობრიობას ბევრი რამ მოზარდის თაობის საკეთილდღეოდ და სიბედნიეროდ

## ახალი ამბავი

** ...რილის ნაღვერებმა მთაწმინდის ქუჩაზე დააგროვა ქვიშა. ზოგ

# ფელეტონი

### ქართველთა შორის

გინდ იცინე, გინდ იტირე. — ხშირად წაულია თქვენი ჭირი სიცილსაცა და ტირილსაც. — „აღარ ისურვეს“. — რატომ უნდა მოსვლოდათ? — წარმატება „წერა-კითხვის საზოგადოებისა“. — სიტყვა და საქმე. — სამდიდრე გულისა და სულისა.

წაიკითხავდით წლიურს ანგარიშს „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისას“, რომელიც ამ წლის კრებაზე იყო მოსმენილი და განხილული. თუ არ წაგიკითხნიათ, დამიჯერეთ და გადაფურცლეთ, სულ ნახევარ საათის საქმე არ იქნება. ამ ერთი ბეწო ანგარიშში იმდენი საყურადღებო ამბავი დაგხვდებათ თითქმის ყოველს ფურცლის ყოველს გვერდზე, რომ მეტი არ შეიძლებოდეს. თანაც ყოველი ამბავი ანგარიშისა ისეთის უცნაურის ღირსებისაა, რომ შეგიძლიანთ გინდ იცინოთ გულიანად, რამდენიც გნებავდეთ, და გინდ იტიროთ გულიანადვე და რამდენიცვე გნებავდეთ.

ამ შემთხვევაში სიცილი თუ ტირილი სრულებით თქვენს გუნებაზე იქნება დამოკიდებული და, რასაკვირველია, თქვენს ვინაობასაც გამოჰხატავს. გულიანს სიცილს აღძრავს მაშინ, თუ თქვენ განზე გამდგარხართ და შორიდამ სეირს უყურებთ — აცა, ვნახოთ, რა მალაყებს თამაშობენ აის ვაჟბატონები, რომელთაც განუზრახავთ უმეცრებასთან გამკლავებაო.

ამ მხრით ხსენებული ამბები ხსენებულის ანგარიშისა მართლაც ბევრს მასალას გაძლევთ, რომ გადიხარხაროთ და სიცილით მუცელი ხელში დაგაჭერინოთ. ვინიცობაა, თუ ღმერთს თქვენთვის მოუნიჭებია ხუმრობისა და მასხარობის ნიჭი, შეგიძლიანთ ჩინებული სატირაც დასწეროთ და სულ ერთიან გააბათილამოთ მეცადინეობა სწავლა-განათლების გავრცელებისა ჩვენში.

იმ შემთხვევაში-კი, თუ თქვენ მართალის გულ-მტკივნეულობით ეპყრობით ჩვენს საზოგადო საქმეს და გემეტებათ წარმატება ჩვენის ერისათვის, უეჭველად გული ამოგიჯდებათ და, საჯაროდ თუ არა, ჩუმად, მალვით მაინც გადმოაგდებთ ცრემლსა. მართლაც, თუ ასეთის თვალით უყურებთ საქმეს, „ანგარიში“ თავიდამ ბოლომდის წარმოადგენს ერთს გაუთავებელს ტრაგედიას ჩვენის უზრუნველობისას, მოუფიქრებლობისას, გულგრილობისას და კიდევ სხვა მრავალ ღირსებისას, რომელიც თავის დღეში ჩვენ ვერ გვასახელებს ვერც შინა და ვერც გარეთ. ამ მხრივაც, უკეთუ იგრძენით რაიმე ნიჭი, შეგიძლიანთ დასწეროთ ისეთი იერემიადა, რომელიც თავის სიმწვავით არ ჩამოუვარდებოდეს თვით

**

ჩემში სიცილი არ დაუბადებია „ანგარიშს“ და ამიტომ ნურას უკაცრავად, რომ ვერ ვიცინებ იმათთან ერთად, ვისაც სიცილის გუნებაზე მოიყვანს ეს შესანიშნავი და უტყუარი ოქმი ჩვენის ავ-კარგიანობისა. მეორეს მხრით, თუმცა ჰხედავ, რომ ჩვენის „საზოგადოების“

წაღმა ბრუნავმა დრო-ჟამმა
უკუღმა შექმნა ტრიალი,

მაგრამ მაინც იერემიადების წერის ხალისი არ აღმძვრია გულში და გინდა კიდეც აღმძვროდა, ეხლანდელს დროს ისევ სიცილი სჯობია ტირილსა. რაც უნდა იყოს, როდესაც მოცინარეს გიყურებენ, ყველა იმ აზრისაა, რომ თქვენ გულში ხინჯი არა გაქვსთ-რა და ამიტომ კეთილ-საიმედო კაცი ხართ. ტირილი-კი... ჰოი, ტირილი მეტად საეჭვო საქმეა, გინდაც რომ საზოგადო სატკივარი-კი არ გაწუხებდესთ, არამედ საკუთარი, შინაური ტკივილი გბენდესთ...

ამიტომ დავანებოთ თავი ტირილსაცა და სიცილსაც, რადგან არა თუ ტირილსა და სიცილს, არამედ ძალიან ხშირად მარტო დამჯდარსა და დალაგებულს მასლაათსაც თქვენი ჭირი წაულია და ჩაილულის წყალი დაულევია, — დავანებოთ ამეებს თავი და შევუდგეთ თითო-ოროლა საყურადღებო ამბების ჩამოთვლასა.

**

„ანგარიშის“ პირველს გვერდზე იწყება და მეორეზედა თავდება შემდეგი შესანიშნავი ამბავი: „1887 წელს საზოგადოებას დააკლდა 6 დამფუძნებელი წევრი და 5 ნამდვილი. ამათში შვიდი გარდაიცვალა, ორმა დამფუძნებელმა და ორმა ნამდვილმა წევრმა-კი აღარ ისურვეს საზოგადოების წევრად ყოფნაო“.

რასაკვირველია, სიკვდილს ხომ თვით საზოგადოების წევრობაც ვერ გადაელობება წინ, იმიტომ-რომ

ვერ დაიჭირავს სიკვდილსა
გზა ვიწრო, ვერცა კლდოვანი.

ეს აშკარაა და ამძიმარის მეტი არა გვმართებს-რა, რომ სიკვდილმა გამოგვაცალა ხელიდამ შვიდი სული ადამიანი, რომელნიც ითვლებოდნენ ამ საზოგადოების წევრებად. საუკუნოდ იყოს ხსენება მათი!.. მაგრამ ჩვენ ვერ გაგვიგია, რატომ „აღარ ისურვეს საზოგადოების წევრად ყოფნა ორმა დამფუძნებელმა და ორმაც ნამდვილმა წევრმა“. თქვენი უმორჩილესი მონა ამ საკვირველმა გარემოებამ იმავ თავითვე გააშტერა და გააოცა, რა წამს ასეთი უცნაური ამბავი წაკითხულ იქმნა კრებაზე, და თუმცა სრულებით არა მაქვს გაბედულობა საჯაროდ ხმის ამოღებისა, მაგრამ გულმა ველარ მოითმინა და წინააღმდეგ ჩვეულებისა ავდექი და ვთხოვე — გამოეცხადებინათ სახელი და გვარი იმ ოშვიათის წევრებისა, რომელნიც შარშან გაიხიზნენ საზოგადოებიდგან. ეხლა-კი ვნანობ, ნეტა არ მეკითხნა-მეთქი, რადგან ვერ მივიღე პასუხი, ასე რომ დღესაც არ ვიცი, ვინ იყვნენ ის ორი დამფუძნებელი და ორიც ნამდვილი წევრი, რომელთაც „აღარ ისურვეს“ და სხვანი...

იმათი სახელი და გვარი იმიტომ უფრო მეპიტნავებოდა, რომ იქნება ანდი მაინც ამეღო, რამ დაანებებინათ თავი იმისთანა საზოგადოებისათვის, სადაც უმეტესობას სიტყვის მეტი

ალაგს აილეს და ზოგგან-კი აქამდის ისევ ხელ-უხლებელია. ხევისა და მეორე „ნაგორნის“ ქუჩებიდამ, როგორც ეტყობათ, არ აპირებენ ამ ქვიშის გატანას. ქვიშაში ათასნაირი ძონძები და ძვლები ურევია და ამ სიცხეებში ლპება და საძაგელს სუნს აფრცელებს.

*** ამ თთვის რვას, ღამის 12 საათზე, ნიკოლოზის ქუჩაზე სამი ქალი მოდიოდა, როგორც მივიდნენ ხიდის ქუჩის ქიმში, დაეცნენ კინტოები და ცარცვა დაუწყეს. ქალებმა მორთეს ყვირილი. ხმაურობაზე გამოცვივდნენ მცხოვრებნი, ხიდიდამ მოვიდნენ პოლიციელნი და კინტოებმა ველარ მოასწრეს ქალების გაცარცვა. კარგი იქნება, რომ ამ ალაგას პოლიციელი დააყენონ, თორემ ამ გვარი ამბები ქუჩაზე არ მოისპობა, რადგან ახლო-მახლო დუქნებში თავ-შესაყარი აქვთ საეჭვო კაცებს.

*** ამ ჟამად ტფილისში იმყოფება მოსკოვის საიმპერატორო თეატრის არტისტების კრებული. ამ კრებულმა პარასკევს საზაფხულო თეატრში წარმოადგინა თავ. ა. სუმბათაშვილის პიესა „არკაზანოვები“. ბ-ნი სუმბათაშვილი აგერ ათიოდე წელიწადია, რაც რუსულს სცენას ემსახურება, როგორც არტისტი და მწერალი. ამას ათამდე პიესა დაუწერია სცენისათვის რუსულის ცხოვრებიდგან, და საუკეთესო პიესად უნდა ჩაეთვალოს არკაზანოვები. ეს პიესა ჩინებულის ენით არის დაწერილი და შინაარსითაც საინტერესოა. პიესა მოთამაშეებმა საზოგადოდ კარგად გაატარეს. განსაკუთრებით საუცხოვო სანახავი იყო დასის დედა-ბოძი ქალი, არტისტი ფედოტოვისა; თვით სუმბათაშვილიც მშვენივრად თამაშობდა.

*** კახეთი: წელს მაინცა და მაინც არა ცხელა. ხანდახან წვიმაც გვესტუმრება ხოლმე. 30 ივნისს ისეთი საშინელი ამინდი იყო, რომ ყველანი გაგვაოცა: თან წვიმდა, თან ქარი ჰქროდა და თანაც დიდი, კაკლის ოდენა სეტყვა მოდიოდა. თუმცა გამოღმა მხარეში სოფლად ცოტა იყო, მაგრამ გაღმა მხრის სოფლებში და გამოღმა სოფლების ბოლოზე-კი ძალიან ყოფილიყო. ქარს ძნები სულ დაეფანტნა და სეტყვას კიდევ საქონელი და მუშა ხალხი დაერეტიანებინა. მნახველნი ამბობენ, ასეთი სეტყვა ჩვენს დღეში არ გვინახავსო; სეტყვა დიდი, ხორკლიანი და სხვა-და-სხვა ნაირი მოდიოდა. ზოგი ამბობს, ცაზედ ურემი იყო გამოსახულიო და ვინ იცის რამდენ ნაირი ცრუმორწმუნოება დაიბადა. მოსავალიც ძალიან წაახდინა სეტყვამ. შაშიანის ბოლოს ვენახები დაუსეტყვია; აგრეთვე სხვა სოფლებშიაც უჩივიან. რაღა სეტყვა უნდოდა უიმისოდაც ნაცრისაგან და მილდიუსაგან გაფუჭებულს ვენახებს!

*** ქუთაისი: ქალაქის ბაღში შუაგულ ადგილს რამდენიმე ხე მოსჭრეს, ხეივანი გააუქმეს, ნიადაგი გაასწორ-გაასუფთავეს და შეუდგნენ კიდეც პავილიონის შენებას... დიდს გაწამაწიაში არიან ამ ჟამად ქუთათურები; ბაღს ქვის ტროტუარი შემოავლეს, ქუჩების კეთება თითქმის ნახევრამდე დაიყვანეს... მხოლოდ ერთი რამ ავიწყდება ქალაქის გამგეობას: წვიმის წყლის სავალი თხრილების დასწორება და შეერთება და ბოგირების მოშლა. თუ ეს ორი რამ ისევ ძველ მდგომარეობაში დარჩა, ქუჩები ისევ წაილეკებიან ნიაღვრის შლამით და სოფლის ბოგირიან გზებს უფრო მიემსგავსებიან, ვიდრე კეთილ განწყობილსა და გამშვენიერებულს ქალაქს.

*** იქიდამვე: ქუთათურის ქუჩების თავ-გასულობასა და იმათ ფაეტონების უვარგისობას ბოლო ჯერ კიდევ არ მოჰღებია. მეეტლეს თურმე გარეგნობით უყურებენ და თუ კარგად არა ხარ ჩაცმული და ან რამე ნიშანი არ გაკრავს, ყურსაც არ გათხოვებენ: „დაზანიატებული ვარო“, გეტყვიან. ამას გარდა სადაც-კი ბეხრეკი და მოშლილი ფაეტონებია, სულ ქუთაისში ამუშავებენ. შეიძლება ქუჩების შესაფერად იქცეოდნენ, მაგრამ ი დალოცვილები ხომ ჰხედავენ, რომ ქუჩებს აუმჯობესებენ. ქალაქის გამგეობა კარგს იზამს, რომ თვალ-ყურს დაიჭერდეს.

*** სოფ. შაშიანი (კახეთი): სოფ. შაშიანი ერთი მშვენიერ სოფელთაგანია თელავის მაზრაში. როგორც საზოგადოდ მთელს კახეთში, ისე შაშიანშიაც ბუნების სიმდიდრე არ ეშესაბამება მცხოვრებთა მდგომარეობას. ხალხი აქაც ისე დაჩაგრულია, როგორც სხვა სოფლებში. ამ სოფელს არც რიგისამებრ მომართული სკოლა აქვს, არც დეპო, რომ მედუქნეებიდგან არ ივაჭრონ საქონელი ერთი-სამად, და ისიც დამპალი და საძაგელი; არც ბანკი აქვს, რომ გაჭირვების დროს გაიძვერა ვაჭრებს არ მიჰმართონ რამდენისამე მანეთის სასესხებლად და ამ რამდენსამე მანეთში არ დაკარგონ თავიანთი ვენახები. აქაურნი მკვიდრნი მრავალს სხვა-და-სხვა ცრუ-მორწმუნეობას მისდევენ, მაგრამ ზოგიერთის მეცადინეობით იმედია, ადრე თუ გვიან, ამასაც ბოლო უნდა მოეღოს. აქაურმა მღვდელმა შ—მა ჯერ ერთი ის ცრუ-მორწმუნოება მოსპო, რომ შაშიანელები დედაკაცებს აღდგომა ღამეს ეკკლესიაში არ უშვებდნენ; დედაკაცი კუდიანია და თუ აღდგომას ეკკლესიაში შევიდა, ღმერთი იწყენს და ჩვენც დაგვისეტყვებითო. ამიტომ ბევრჯელ დედაკაცები ეკკლესიიდგან კაწაწებით გამოუთრევიათ კაცებს. შემდეგ დიდის მეცადინეობისა მ. შ—მა გადააჩვია ხალხი ასეთს ცრუ-მორწმუნეობას. ამის გარდა მ. შ—მა მოიწადინა სკოლის გამართვა და ეს მესამე წელიწადია თავისს სახლში აქვს გამართული სკოლა, სადაც ჯერ-ჯერობით ასწავლიან მღვდელი და დიაკვანი ჩეკუროვი. ჯერ კიდევ მოუწყობელს, კლასისთვის უვარგისს ოთახში ოც-და-ათამდე ყმაწვილი უსხდებით, ტახტზედ ჩამომწკრივებულები, ისიც ზოგს წიგნი არა აქვს, ზოგს დაფა, ზოგს ქაღალდი და ზოგს კარანდაში.

ამას წინად ეგზარხოსი რომ კახეთში ბრძანდებოდა, ინახულა ეს სკოლა და ყოველივე ესე ძალიან გაუკვირდა. როცა იკითხა: „რატომ სკოლის შენობა არა გაქვსთო“, მაზრის უფროსმა უპასუხა: „ახლა ვაპირებთ აშენებასაო“. ღმერთმა ჰქმნას, მაზრის უფროსს არ დაევიწყებოდეს თავისი სიტყვა და მალე სისრულეში მოეყვანოს...

ცხლა რაც შეეხება დეპოსა და ბანკს, ძრიელ ადვილი მოსახერხებელია აქ ამათი გამართვა. თუმცა ერთის სოფლისათვის ძლიერ ძნელია ბანკისა და დეპოს გამართვა, მაგრამ რამდენისამე სოფლისათვის-კი ძრიელ ადვილია. შაშიანის მახლობლად მდებარეობს სამი სოფელი. ერთის მხრივ: კალაური და ვაჩნაძიანი და მეორეს მხრივ ურიათუბანი. ეს სოფლები ძლიერ ახლო-ახლო მდებარეობენ ერთი-ერთმანეთზედ და განიყოფებიან მარტო პატარ-პატარა ხევებით. არამც თუ დეპო და ბანკი, ამ ოთხს სოფელს ერთად შეეძლოთ ერთი კარგი სამაგალითო სასწავლებელიც გაემართნათ, მაგრამ სად არის მოთავე კაცი.

*** იქიდამვე: შაშიანისა და კალაურის შუა ერთი საძაგელი ღელე არის, რომელზედაც საფოშტო გზაც გადის. ისეთი საშინელი დაღმართი და აღმართი იყო, რომ ურმები, თუ სხვა-და-სხვა ეტლები ძლივს ჩადიოდნენ და ადიოდნენ. ბევრჯელ უბედურებაც მომხდარა: დადებული ურმები, თუ ფურგუნი, თავ-დაღმართზედ დაქანებული, ღელეში გადავარდნილა. ამ საძაგელის გზიდგან ზარალს ვინ მოსთვლის! ყველა ნატრობდა ამ გზის გაკეთებას, მაგრამ კაცი არ იყო ეთქვა: „გავიდეთ და გავაკეთოთო“. ამიტომ წლევანდლამდე ასე იყო დარჩომილი ეს გზა. წელს-კი ერთს მშვენიერს დღეს მოუვიდა ბრძანება ამ ოთხ სოფელს მაზრის უფროსისაგან, რომ ეგ დაღმართ-აღმართი უნდა გააკეთოთო. ოთხივე სოფელი სიხარულით გამოვიდა დიდით-პატარამდე სამუშაოდ და ერთ თვეს ისეთი მშვენიერი გზა გაიყვანეს, რომ თქვენი მოწონებული, ასე რომ, სამ-ოთხ უღლის მაგიერ, ერთ უღლითაც შეუძლიანთ გაატარონ დატვირთული ურემი. აბა რამდენს შეღავათს აძლევს ხალხს კარგი გზა! ღმერთმა აფიქრებინოთ ჩვენს გლეხებს, სადაც ცუდი გზები აქვს სოფელში, გააკეთონ, რომ უფრო შეღავათი მიეცეთ. ამ ღელეში ეს გზა-კი გააკეთეს, მაგრამ ერთი რამ კიდევ დარჩათ გასაკეთებელი. ეს გახლავსთ მშვენიერი ცივი წყარო, რომლითაც სარგებლობს ორი სოფელი, შაშიანი და კალაური. მაგრამ ეს მშვენიერი წყარო, ხალხის დაუდევრობისა გამო, ძალიან გაფუჭებულია. არ იქნება ურიგო, საცა ამდენი შრომა გასწიეს და გზა გააკეთეს, ეს წყაროც გააკეთონ, რომ თითონაც კარგად ისარგებლონ და გამვლელ-გამომვლელისაგანაც მადლობა მიიღონ.

## აზრი სრულის რუსულ-ქართულის ლექსიკონის შედგენის თაობაზე.

ყველას მოეხსენება, რა საჭირო და სახმარ წიგნად ითვლება საზოგადოდ ლექსიკონი. ჩვენ ჯერ არა გვაქვს რუსულ-ქართული და ქართულ-რუსული სრული ლექსიკონები, რომლებიც დღეს შეადგენენ მიუცილებელს, ყოველ დღიურს საჭიროებას როგორც თვითოეულის კერძო პირისათვის, უმეტესად—მოწაფეთათვის. მე გადათვალიერებული მაქვს უწინდელს დროში შედგენილი ლექსიკონები; სახეში მაქვს პატივცემულის დავით ჩუბინაშვილისაგან შედგენილნი და გამოცემულები: 30 ივლისს 1840

არა ეხარჯებარა, სადაც თამამად შეგიძლიანთ ირიცხებოდეთ წევრად, გინდ საპატიო, გინდ ნამდვილ, გინდ დამფუძნებელ და სხვა ხარისხის წევრად, და თანაც არავითარი ნაკისრი მოვალეობა არ აღასრულოთ და ამასთანავე არავის თვალში არა დაჰკარგოთ-რა მოვალეობის აღუსრულებლობის გამო!..

**

საკვირველია, ღმერთს გეფიცებით, რატომ უნდა მოსვლოდათ ასეთი საქმე. ჩემის მხრივ მე ბევრი, ძალიან ბევრი ვიმტვრიე თავი, მაგრამ სრულებით უნაყოფოდ. შეიძლება-მეთქი, ვფიქრობდი, ამ საგანგებო წევრებმა იმიტომ „აღარ ისურვეს“, რომ წერა-კითხვის საზოგადოებამ უკვე შეასრულა თავისი დანიშნულება, გაავრცელა ხალხში წიგნის ცოდნა, მოჰფინა ქვეყანას სხივი სწავლა-განათლებისა და რაკი ამ სახით მორჩა თავის საქმეს, რა საჭიროებას-ღა შეადგენს წევრობა იმ საზოგადოებისა, რომელიც თითონ დააფუძნეს, ან რომლის ნამდვილ წევრებად ირიცხებოდნენ შვიდი-რვა წელიწადია-მეთქი. იქნება იმ ორმა სამაგალითო დამფუძნებელმა და ორმაც თითით-საჩვენებელმა ნამდვილმა წევრმა განიზრახეს ახლა სხვა სარბიელზე სინჯონ თავიანთი მკლავი, დააფუძნონ ახლა სხვა საზოგადოება. დღეს ხომ მრავალია სხვა-და-სხვა საზოგადოებანი. მაგალითად, არის საზოგადოება ბულვრების ტკეპნისა, საზოგადოება უბაჟო ლაქლანდარობისა და სხვანი. გინდ ესეც არ იყოს, შესაძლოა სრულებით ახალ საზოგადოების დაფუძნება. აი, ვსთქვათ, წერა-კითხვის საზოგადოებას ჰქონდა საგნად სწავლის გავრცელება უმეცარ ხალხში. შესაძლოა დაარსდეს სადმე სხვაგან, ჩვენში-კი არა—ღმერთმა დაიფაროს—საზოგადოება, რომელიც განათლებულ ხალხს შეაჯავრებს წიგნის კითხვას და ბოლოს იქამდე გაიმარჯვებს, რომ ერთს მშვენიერს დღეს ასოებსაც ერთი-ერთმანეთიდამ ველარ არჩევდე, გეგონოს, რომ ასოები სულ ერთმანეთსა ჰგვანან და წამკითხველიც მიგაჩნდეს ნამდვილ თილისმად. მართალია, ასეთი საზოგადოება ჩვენში მოუხერხებელია, მაგრამ განა არ შეიძლება წევრად ითვლებოდე გინდ ცხრა-მთას იქითა-რა... გული გულობდეს, თორემ სიშორე რა საკითხავია.

გარნა ასეთი ფიქრი მეტად უსაფუძვლოა და არც შეიძლება, რომ ამ ფიქრით შეგულიანებულ იყვნენ ის ორი დამფუძნებელი და ორიც ნამდვილი წევრი, რომელთაც „აღარ ისურვეს.“ როგორ ეგონებოდათ, რომ „საზოგადოებამ“ შეასრულა თავისი მოვალეობა, ესე იგი გაავრცელა ხალხში განათლებაო, როდესაც ორი-სამი სკოლა ძლივს გამართა და იმასაც დღე-დღეზე დაკეტვას უქადის, რადგან შეძლება არა აქვს და თითქმის ვერა გაუკეთებია-რა! წინარეხი და ბათუმი, ბათუმი და წინარეხი... ჰააა-ჰა! მეტი ხომ ჯერ თითქმის არა მოუცია-რა ჩვენს გამრჯელობას.

მაშ რად დაუწუნებიათ თავი? რა ენაღვლებოდათ სათვალავში მაინც ყოფილიყვნენ. რად გამოისალმეს თავი საზოგადოებისაგან, როდესაც არა ეთხოვებოდათ-რა და როდესაც ყოველივე ადამიანი მონატრე უნდა იყოს, რომ კაცთა საზოგადოებას ეკუთვნოდეს, თუ სხვა რითიმე არა, სიტყვითა და აზრით მაინც...

**

„ანგარიშის“ მეორესავე გვერდზე ვკითხულობთ, რომ „შარშან წევრთა რიცხვი იყო 427 „პირველს წელს დაარსებისას საზოგადოებას ჰყვანდა სულ 319 წევრი, მაშასადამე (საკვირველი და საოცარი „მაშასადამე“) ამ რვა-ცხრა წლის განმავლობაში საზოგადოებას კარგა ბლომად შეჰმატებია წევრნიო.“

ნეტავი ისეთის კილოთი მაინც იყოს დაწერილი ეს „ანგარიში“, რომ ხუმრობად მიიჩნიოთ ამოწერილი სიტყვები. ხოლო ძნელი ის არის, რომ ანგარიშში ხუმრობა შეუძლებელია და თვით კილოც ისეთი დარბაისლურია, რომ ძალა-უნებურად უნდა მიიღოთ ისე, როგორცაა სწერია, და არ იფიქროთ, რომ ვინმე გეხუმრებოდეთ, ე. ი. რომ დაარსებისას 319 წევრი ჰყოლია, შარშან 427 წევრამდე ასულა და, მაშასადამე, ამ რვა-ცხრა წლის განმავლობაში საზოგადოებას მართლა „კარგა ბლომად შეჰმატებიან წევრნი“.

გამოდის, რომ ცხრა წელიწადში სულ 108 ქართველს მოსვლია სურვილი წევრად ჩაწერისა. ხომ კარგად მოგეხსენებათ, რასაცა ჰნიშნავს ამ საზოგადოების წევრობა: მითომაო ჩაეწერე-კია, რომ წელიწადში ექვს მანათს ან ცოტა მეტს გადაიხდი საზოგადოების სასარგებლოდაო, და მერე შეიტან თუ არ შეიტან, ეგ სრული შენი ნებააო. და ხომ მოგეხსენებათ, რომ როდესაც ქართველის კაცის ნებაზე მივარდება ასეთი საქმე, მაშინ გინდა ყელამდე ფულში იყოს ჩაფლული და ლომა კამეჩივით ხან აქეთა გვერდზედ გადატრიალდებოდეს ასიგნაციების მორევში და ხან იქითა გვერდზე, მოკვდება და საზოგადოებას არაფრით არ გამოადგება. ამასთანავე შეუძლიან პირ-იქით თითონვე ამუნათებდეს იმავ საზოგადოებას და საყვედურსაც აძლევდეს: რატომ არ მოსდიხართ და არ მართმევთ—ახლა მე სად გეძებოთო!.. აბა, ამისთანა დალოცვილი საზოგადოება განა კიდევ შეიძლება სხვა!..

და მაინც ცხრა წელიწადში მხოლოდ ას-რვას ჩვენს თანამემამულეს გაღვიძებია სურვილი წევრად ჩაწერისა, მეტს არა!.. მე სრულებითაც არ გამიკვირდებოდა, რომ დღეში მოჰმატებოდა ას-რვა კაცი ამისთანა საზოგადოებას და კიდევ ვერ ვიტყოდი ისეთს საიმედო სიტყვებს, რომაო „მაშასადამე, კარგა ბლომად შეჰმატებიან წევრნიო“, და აბა ას-რვა კაცი რა შემატებაა!..

ამისთანა შემატება რომ გამოიანგარიშოთ, წელიწადში თორმეტი კაცი მოდის, მაშასადამე, თთვეში ერთი და დღეში სულ ერთი მეოცდაათე ნაწილი ერთის კაცისა და კიდევ იმაზედაც ნაკლები. ესე იგი საზოგადოება რომ დაარსებულა, მას იქეთ დღეში ჰმატებია თითო მეოცდაათე ნაწილი ერთის კაცისა. მაშასადამე მეორე დღეს „საზოგადოებას“ მიემატებოდა, ვსთქვათ, ერთის კაცისა ჯერ, რასაკვირველია, ენა, ამიტომ რომ ქართველს კაცს ენა ყველაზე წინ გაურბის. მერე, იცით, რადა ღირს ეს შემატება! ჰოჰოი, ჩვენი ენა მთელს კაცსა და მეტსაც-კი უდრის. რა ენა და რამ სიტყვე, რა სიგძის პატრონი!.. პაჰ-პაჰ!.. ისეთი ენაა ჩვენი ენა, ისეთი, ისეთი, რომ თამამად შეგიძლიანთ ერთი მოსწრებული სიტყვა ჩვენის აკაკისა გადმოატრიალოთ და სთქვათ, რომ ქართველს კაცს-კი არ აბია ენაო, არამედ ქართველი კაცი აბია თავის ენასაო... ჰო-და, მეორე დღეს „საზოგადოებას“ შეემატებოდა ერთი ენა ერთის ქართველი-

წელში ქართულ-რუსული ლექსიკონი და 1846 და 1886 წწ. რუსულ-ქართული ლექსიკონები; მჯერა, რა ძნელი საქმეც არის წესიერად შედგენა სრულის ლექსიკონისა; ეჭვში არა ვარ, რომ ჩუბინაშვილმა თავის ლექსიკონების შემუშავებაზე (სიყმაწვილიდგან დღემდე) მრავალი წელიწადი და დიდი შრომა მოახმარა, ბევრი ჯანი, ოფლი და თვალის სინათლე შეალია, რისთვისაც ღირსია მადლობისა, მაგრამ უფრო სასურველია **უფრო სრულნი** და **უკეთესი** ლექსიკონები გვქონდეს. ამგვარის ლექსიკონების შედგენას ერთი კაცი ძნელად შესძლებს და ვერც მოეთხოვება ესა, რადგან ამ გვარს შრომას დროც, ენების ცოდნაც და მასალაც ბევრი უნდა.

მაშ რა გზით, რა საშუალებით მივაღწევთ სრულის ლექსიკონების შედგენის სურვილს?

აი ჩემი აზრი ამაზე.

ვიცით, რომ ზოგს ერთსა და იმავე საგანს ტფილისის და ქუთაისის გუბერნიების სხვა-და-სხვა კუთხეებში სხვა-და-სხვა სახელწოდება აქვს ქართულად. მაგალითად, ავიღოთ სიტყვა **корыто**. ტფილისის გუბერნიაში ამ ხის ჭურჭელს ჰქვიან **ხონი**, ქუთაისისაში-კი—**გობი**. ხის ზედეთ შტოს ქართლ-კახეთში ჰქვიან: **კაწაწი** და **კუწუწი**, გურიაში-კი—**ბოლი**, ხოლო ქართლ-კახეთში, რასაც ჰქვიან ბოლი, იმას გურიაში ეძახიან **ფუტს**.

არის იმისთანა საგნებიც, რომლების სახელწოდებაც ერთს კუთხეში არსებობს და მეორეში-კი არა. მაგალითად, იმერეთში: შქერი, აჭინარი, წყავი, სკამ-ლოგინი და სხ.; ქართლ-კახეთში: ფიწალი, არნადი, პტყენა და სხვანი.

ამიტომაც მე ვფიქრობ: დაიბეჭდოს რუსული სიტყვები, რაც შეიძლება **სრულად**, თუნდა აკადემიის ლექსიკონიდგან, **ან-ბანზე**, და მათ გვერდით დარჩეს საკმაო ცარიელი ადგილი, იმისთვის რომ შესაძლებელი იყოს და იქვე მიეწეროს, თვითოეულს რუსულს სიტყვას, ქართული სახელწოდება.

ამ გვარი რვეულები გავგზავნოთ სხვა-და-სხვა მაზრებში (სადაც ქართული ენა არსებობს) მცოდნე პირებს (**რომელნიც ისურვებენ** შემწეობის აღმოჩენას და არ დაგვზარდებიან იშრომონ თავისუფალს დროს ამ განზრახვისათვის), მაგალითად: ნასწავლ სამღვდელო პირებს, სოფლის სკოლების მასწავლებლებს და სხვათა საპატიო მცოდნე პირთ. ამათ, რასაკვირველია, უნდა წინათვე ეკითხოთ ბარათით, რომ გამოაცხადონ თანხმობა და სურვილი შრომის მიღებაში.

ის პირნი, რომელნიც აღგვითქმენ ამაში შემწეობის მიღებას, მოუწერენ რვეულებში დაბეჭდილს რუსულს სიტყვებს გვერდით მხოლოდ **ადგილობრივს სახელწოდებას საგნისას** და, რასაც ვერ ახსნიან, თავს დაანებებენ და თუ ადგილობრივ არსებობენ იმისთანა სიტყვები, რომლების სამაგიერო დაბეჭდილს რვეულში არ მოიძევებიან, იმ გვარს სიტყვებს რვეულის ბოლოში მოაქცევენ **ან-ბანზე** და კიდეც **ახსნიან** იმათს მნიშვნელობას.

ამ გვარად შესრულებულს რვეულებს დაგვიბრუნებენ. შემდეგ იმ რვეულების გასარჩევად, შესამუშავებლად და შესაერთებლად შეიძლება მოვიწვიოთ (რომ მიიღონ მონაწილეობა): ქართულის და რუსულის ენებისა და სამღვთო წერილის მცოდნე პირები, ექიმები, აგრონომები, ხელოსნები და სხვანი, ვინც-კი საჭირონი შეიქმნებიან ამ საქმისათვის.

მაშინ—და მხოლოდ მაშინ—მოხერხდება შესდგეს **უკეთესი** და **სრული** (შეძლებისადა გვარად) საზოგადოებისათვის სასარგებლო ლექსიკონები და ამ გვარს ღვაწლს მადლად მიგვითვლის ყოველი სწავლული და განათლებული პირი.

აქ დავსძენ შენიშვნას.

განსვენებულმა გენერალმა უსლარმა შეამზადა ზემო თქმულის გვარად რვეულები კავკასიის სხვა-და-სხვა თემთა ენების სიტყვების ჩასაწერად, მაგრამ თავისი განზრახვა ველარ შეასრულა, რადგან დამხმარე და მცოდნე პირები ველარ მოიპოვა.

იქნება ჩემს აზრსაც იგივე ხვედრი მოელოდეს, მაგრამ ნათქვამია: „ცდა ბედის მონახევრეაო“.

მე ვთხოვ „ივერიის“ რედაქციას მისცეს ადგილი ამ ორიოდე სიტყვას, იმ განზრახვით, იქნება სხვათაც წარმოსთქვან, ამავე საგანზე, თავიანთი აზრი და რჩევა, თავიანთი თანაგრძნობა, ან უარ-ყოფა საფუძვლიანის მიზეზით.

თ. რაფ. ერისთავი

## უცხოეთი

გერმანია. ამას წინად დ-რ ფოველის კაბინეტში „Figaro“-ს ერთს კორრესპონდენტს ლაპარაკი ჰქონია დ-რ მეკენზისთან, რომელიც ლონდონიდგან შვეიცარიაში მიდენილა და გზად შეჰხვედრია. მოვიყვანთ რამდენსამე ალაგს ამ ბაასიდგან, რომელიც მათ უფრო სარწმუნოდ მიგვაჩნია, რომ გაზ. „New-Iork Herald“-იც კვერს უკრავს თავისის მხრივ.

„როცა დრო დადგება,—უთქვამს მეკენზის—მაშინ ბევრს საინტერესო ცნობას ვაცნობებ და ბნელს გამოვააშკარავებ ამ სამწუხარო ისტორიისას. ჯერ-ჯერობით-კი მხოლოდ იმისი თქმა შემიძლიან, რომ როგორც სანრემოში, აგრეთვე ბერლინშიაც ძალიან ხელს მიშლიდნენ და თავისუფლად მოქმედების დროს წინ ხარიხასავით მეჯებოდნენ. მე იმათთვის უპირველესად ყოვლისა, ექიმი-კი არა, ინგლისელი ვიყავ, დედოფლის მიერ მიწვეული კაცი. ამისათვის და კიდევ იმიტომ-რომ გერმანელს ექიმებს ზოგიერთს საგანში ვეწინააღმდეგებოდი, ყოველს ნაბიჯს მითვალთვალებდნენ, ჩემი ცოდნა და სინიდისიერობა არა სწამდათ. ისეთი დღეც-კი იყო ხოლმე, რომ ავადმყოფთან ხშირად მისვლა არ შემეძლო, ორზე მეტად, და არც სხვა რამის გამოკითხვის ნება მქონდა, თუ არ იმისა, რომ „როგორა ბძანდებით, თქვენო უდიდებულესობავ“-ო?

როცა უკითხავთ: იცოდა, რომ კუ ჰქონდა და განგებ ჰფარავდა, თუ შენც გამოგებარა ეს გარემოებაო, მეკენზის პასუხი არ მიუცია, ხოლო უამბნია ის, რაც მომხდარა ფრიდრიხის სიკვდილის მეორე დღეს:

დამიბარეს იმპერატორთან, რომელთანაც ბისმარკიც იყო.

—ექიმო,—მითხრა ბისმარკმა—ანგარიში უნდა დასწეროთ თქვენის უდიდებულესის ავადმყოფის სენის შესახებ.

— მზადა ვარ-მეთქი,—ვუპასუხე.

— ხოლო ეხლავე, ამ წუთასვე უნდა დასწეროთ და არავითარიმე წვრილი არ დაივიწყოთ,—ჩამოერია ლაპარაკში იმპერატორი.

— სამი დღე ვადა უნდა მომცეთ-მეთქი.

რამდენისამე წუთის შემდეგ ჩემთან შემოვიდა გვარდიის ოფიცერი და შემომიტანა ბრძანება, რომ სახლიდგან ფეხი არსად გასდგათ, ვიდრე ანგარიშს არ წარადგენთო. მე რამდენიმე სიტყვა დავსწერე და ის გამოაცხადეს.

ამის შემდეგ მეკენზის გამოუცხადებია, რომ განსვენებულმა იმპერატორმა წერილები დასტოვა, რომელნიც დიდს მოქმედებას იქონიებენ. ამ წერილებში აქვს ნაჩვენები თავისის მეფობის პროგრამაი.

საფრანგეთი. გაზ. „Nation“-ი ამბობს, რომ ბულანჟეს მომხრეები ამ ჟამად დაბეჭდილის სურათებითა სცდილობენ თავიანთის აზრის განხორციელებასაო. ეს სურათები იბეჭდება ჰამბურგში და გამოყვანილია ბულანჟე გენერლის მუნდირითა და ორდენებით. ჩვენ ნამდვილად ვიციო, ამბობს გაზეთი, რომ გუშინ ერთმა ვაჭარმა რამდენიმე ცალი ბულანჟეს სურათი მიიღოო. ამას გარდა ხალხში დადის ფული, რომელზედაც გამოქანდაკებულია ბულანჟეს სახე და სწერია: „ბულანჟე I იმპერატორი. 1888“ ამბობენ, რომ ამ ფულს ძველის ნაპოლეონის ფულიდგან აკეთებენო. ნაპოლეონის სახეს წვერს უკეთებენ, შემდეგ იმის გვარსა ჰშლიან და სხვას აწერენო. ამ ახალის ასოების გასაკეთებლად უმეტესად ნახევარ კაპიკანს აღნობენ და იმას ახმარებენ ზედაო. ასე რომ ბულანჟე,—როგორც ამბობს ერთი ანტი-ბულანჟისტი,—ნახევარს კაპიკზე მეტს არა ფასობსო.

— როცა ბულანჟე 29 ივნისს ბრეტანიდგან პარიჟში დაბრუნებულა, რკინის გზაზედ ცოტაოდე ხალხი მიჰგებებია, რომელთაგანაც ზოგი ჰყვიროდა თურმე «გაუმარჯოს ბულანჟესაო!» და ზოგი უსტვენდა.

— ექიმებს ურჩევიათ გენერალ ბულანჟესათვის, რომ სრულიად მშვიდობიანად იწექი სარეცელშიო. გენერლის ჭრილობა საფრთხილოდ მიაჩნიათ თურმე.

სერბია. ვენიდგანა სწერენ რუსეთის გაზეთებს: დედოფალი ნატალია დღეს საღამოს 9 საათზედ მოვა ვენაში გრაფის ტაკოვას მეუღლის სახელით. დღეს, დილის შვიდს საათზე, საგანგებო მატარებლით აქ მოვიდა სერბიის მემკვიდრე პრინცი და თანა ჰყვა სამხედრო მინისტრი პროტიჩი, თავისი აღმზრდელი დოკიჩი და თავისი მამიდა, გრაფის გიკას მეუღლე. მატარებელი ვენაში სულ რამდენსამე წუთს შესდგა და შემდეგ წავიდა შეუჩერებლივ ბიჩკეს სადგურამდე, სადაც მემკვიდრე პრინცს მეფე მილანი მოეგება. პეშტში ისადილეს და შემდეგ მამა-შვილნი გაუდგნენ გზას ბელგრადისაკენ, სადაც წინ მოეგებათ სადიპლომატო კორპუსი, ყველა მინისტრები და ჯარი.

მინისტრ-პრეზიდენტმა ხრისტიჩმა

* * *

სა, მესამე დღეს ერთი ფეხი, შემდეგ მეორე ფეხი, ზედ მოჰყვებოდა მუცელი და ასე ნელ-ნელა ერთს თითეზე შესდგებოდა თითქმის ერთი სრული კაცი. მე ვამბობ „თითქმის“-მეთქი, იმიტომ-რომ ეს ას რვა შემატებული კაცი კი არ გეგონოთ ისეთ კაცებად, რომ მთლიანად მიმხრობოდნენ საზოგადოებას. თქვენც არ მომიკვდეთ. ამ შემატებულებში იქნება სამი არ მოიძებნებოდეს, რომელთაც შეეძლოთ სინიდისის ქვეშ ეღიარებინათ, რომ მთელის თავიანთის არსებით იყვნენ წევრნი საზოგადოებისა. დანარჩენნი, ახალნი თუ ძველნი, ჰრიცხავენ თავს წევრად მარტო იმიტომ, რომ თავიანთი სახელი გამოჰქმეს სიაში, შეიტანეს უშველებელი განძი, ე. ი. მთელი თავიანთი ენა, ხოლო უმთავრესი რამ-კი ახლოც არ მიაკარეს „საზოგადოებას“ და ეს უმთავრესიც გახლავთ სული და გული. და ის ექვსი მანათი საწევრო ფული, რომელსაც „აიღე და აღარ მოგვე“ ჰქვიან. ამაებს ჩვენნი წევრნი თავიანთ სტომაქისთვინა ჰხმარობენ და არც მიაკარებენ რაღაც საზოგადოებას...

და არც გასამტყუნარნი არიან თავიანთის ფიქრით:

ჩვენც კაცნი ვართ ხორციელნი,
სულ ხომ ცას ვერ შევბერდებითო!..

**

იმავე მეორე გვერდზე ვკითხულობთ: „საწევრო ფული ხომ ერთი უმთავრესი წყაროა საზოგადოების არსებობისა და მოქმედებისათვის. მართალია, სურვილი-კი დაიძრა ჩვენში, რომ საზოგადო საქმეს რითიმე ვუშველოთო, მაგრამ საქმით-კი ჯერ სწორეთ ვერ მივშველებივართ. ეს რომ ასე არ იყოს, შარშან საზოგადოებას უნდა შემოსვლოდა 4000 მანათზე მეტი და შემოსავალი-კი მხოლოდ 743 მანათი იყოო“.

როდესაც ამ ანგარიშის შემდგენელი ამბობს, რომ მართალიაო, სურვილი დაიძრა ჩვენში საზოგადო საქმის მიშველებისაო, მაგრამ ჯერ-კი ვერ მივშველებივართო, თქვენ უნებლიეთ ეჭვი მოგდით, მართლა დაძრულა ჩვენში ასეთი სურვილი, თუ არა. აშკარაა, რომ ან საშინლად შემცდარია ბ-ნი შემდგენელი ანგარიშისა, ან თავაზიანობას აუტანია და კრებისთვის ვერ უთქვამს მართალი, თორემ ერთი მიბრძანეთ, თქვენი ჭირიმეთ, სადაური სურვილია საქმის მიშველებისა, თუ-კი სურვილი ცარიელ სიტყვადა რჩება და „საქმით-კი ჯერ სწორედ ვერ მივშველებივართ“!.. ალბად არავითარი სურვილი არ დაძრულა ჩვენში, თორემ აქამდის ხომ საქმითაც „სწორეთ მივეშველებოდით“. უეჭველია, რომ თუ ბ-ნი შემდგენელი ამ გვარ სურვილის დაძვრას გულ-წრფელადა ჰხედავს ჩვენში, იმას სურვილად უცვნია ჩვენი თავ-დაუჭერელი მადა პტყელ-პტყელის ლაპარაკისა,—თორემ თუ მართლა რამ სურვილი დაძრულიყო ჩვენში, საქმითაც უნდა გამოჩენილიყო, ამიტომ-რომ როცა გული გულობს, ქადა ორის ხელით იჭმევა...

არა, ბატონებო, სურვილი-კი არა, ენის ქავილი დაიძრა ჩვენში და საშინელი ქავილიცა, იქამდის საშინელი, რომ შესაძლოა, სენად გარდაგვექცეს—სულ ლაპარაკად, ყბედობად გარდავიქცევით და ამიტომ საქმით ვერასოდეს ვერ მივეშველებით ვერანაირ საზოგადო საქმეს. ხომ მოგეხსენებათ, რომ

დაქადებისა სიტყვითა
არ გადასწყდების ვალიო...

**

რა! კიდევ გინდათ ამოგიწეროთ „ანგარიშის“ თვალი და მარგალიტი? მგონია კმარა... კაი ხილი კაცმა ცოტა-ცოტათი უნდა იგემოს, რომ თავის დღეში არ მოსწყინდეს. ჩვენ ამ წერილში ორი პირველი გვერდი „ანგარიშისა“ ვერც-კი გავათავეთ. აგრეთვე საგულისხმიეროა დანარჩენი ფურცლებიცა და აბა წარმოიდგინეთ, როდის დავასრულებდით განხილვას ანგარიშისას, რომელიც შეიცავს ოცდა-შვიდს გვერდს! ძალიან სახალისო ადგილებია შიგა, რომ უკეთესი არ იქნება, მაგრამ მეტი გზა არ არის, უნდა გამოვეთხოვოთ. დეე დანარჩენი თვით მკითხველმა გადაათვალიეროს ცნობის-მოყვარე თვალითა და გულის ხმა ჰყოს...

უმთავრესი დასკვნა ანგარიშისა გახლავთ «არ ახალი, ძველი» ამბავი, რომ უფულობა ხელს უშლის საქმის თავობასა და გაძღოლას. სკოლების გამართვაც საჭიროა, წიგნების დაბეჭდვაც აუცილებელია, მაგრამ ყველა ამას უნდა ფული, ფული, სულ ფული და კიდევ ფული. შემოსავალი მაგდენი არა არის-რა და ხარჯი-კი დღითი-დღე მატულობს, ასე რომ საზოგადოება იძულებული შეიქმნა ხელი წაეტოტინებინა ძირის ფულისათვის და კარგა ბარაქიანადაც წაატოტინა, ხოლო

თუ ზღვასა წყალი არ შესდის,
იგიცა ყოლე დაშრებაო...

უეჭველია, რომ თუ საქმე დღევანდელ ყოფაში დარჩა, მალე მტერი თქვენ დაგელიოთ, მალე ამ „საზოგადოებას“ გაუჭირდეს საქმე. ამასთანავე ისიც უეჭველია, რომ „საზოგადოების“ წარმატება დაიწყება მხოლოდ მაშინ, როდესაც ყოველი მისი წევრი, პტყელ, გაზანდრის აღლიან ენის მაგიერ,

და რომ სათავე ფუყია, ეს ხომ აშკარადა სჩანს თვით ანგარიშიდამაცა, მაგრამ რაც ანგარიშში არ არის მოხსენებული, ის უფრო მეტად ნათლადა ჰხატავს ჩვენს ვინაობას, ხოლო არ არის მოხსენებული იმიტომ, რომ ასეთს ამბებს საანგარიშოდ არ გახდიან ხოლმე. მაგალითად, გიამბობთ ერთს ამბავსა, და წარმოიდგინეთ, რა დღეში უნდა ჩავარდნილიყო ბ-ნი მდივანი „საზოგადოებისა“, რომელსაც თავს დაატყდა ეს საკვირველი ამბავი. მდივანი მოვალეა წერილით შეატყობინოს წევრსა, რომ თქვენ ამდენი და ამდენი დაჰპირდით „საზოგადოებას“ და კი არ შემოგიტანიათო. თუ შესაძლოდა სცნოთ, გაისარჯენით და აღასრულეთ თქვენივე დანაპირებიო.

ერთს ჩვენს თანამემამულეს მიუვიდა ამ გვარი წერილი, მეტად მოწიწებით შედგენილი. თანამემამულე გაბრაზდა, განრისხდა და სწვდა ყელში საწყალს მდივანს: „მე რა თქვენი მოვალე ვარ, რომ მაგისთანა „პავესკებსა“ მწერავთო. ღმერთმა თქვენც შეგარცხვინათ, თქვენი მოვალენიცა და თქვენი საზოგადოებაცაო. მე დამელრიჯნენ და კიდეც ვაჩუქე პირველს წელს ექვსი მანათი. აქაო-და სიაში ჩამწერეს, ნუ თუ მოვალე ვარ, შვიდი-რვა წლის ფულიც შემოვიტანო! რისთვის, რის გულისთვის...“ და სხვანი.

როგორია, ჩემო მკითხველო! განა, რომ გახლავართ ბიჭები!..

სანო

გამოაცხადა, რომ განქორწინება უე-ჭველად მოხდებაო. სერბიის სინოდმა, რომელშიაც თავ-მჯდომარეობენ ეპის-კოპოსნი თეოდოსი, დიმიტრი და ნი-კანორი, გამოაცხადა, რომ ჩვენ უფ-ლება გვაქვს მეფე მილანის განქორ-წინების საქმე გარდავსწყვიტოთო. გრაფის გიკას მეუღლე ვენაში დარ-ჩენილა.

დედოფალს ნატალიას განზრახვა აქვს, რომ ვენის მთავრობას მიჰმართოს და მფარველობა სთხოვოს.

## წვრილი ამბები

ავსტრიის გაზეთები ამბობენ, რომ ამ ახლო ხანებში გრაცში ავსტრიის სტუ-დენტთა კონგრესი იქმნებაო.

— ინგლისის მთავრობას ოფიცია-ლურად უარი გამოუცხადებია, რომ არა-ვითარს მონაწილეობას არ მივიღებთ სტენლის ექსპედიციის ბედშიო.

— „Revue générale de l'état-major“-ში საინტერესო წერილია და-ბეჭდილი, სათაურით: „შეიარაღებული ევროპა“. 1869 წ. მთელს ევროპაში სა-მშვიდობო ჯარი ჰყოლიათ 2.195,000 კაცი, ხოლო სამხედრო-კი—6.918,000 და ხარჯი ამ დროს ყოფილა 2,279 მი-ლიონი. ამ ჟამად-კი ევროპაში სამშვი-დობო ჯარი არის 3.092,000 კაცი, სა-მხედრო—16 მილიონი, ხოლო ამ დრო-ისათვის ხარჯი—3,500 მილიონი. ახალის სამხედრო კანონით ომიანობის დროს ევროპას 19 მილიონი ჯარი უნ-და ჰყავდეს. ამ ოცს წელიწადში ევრო-პის სამხედრო ძალას თითქმის ერთი-სამად უმატნია.

— სხვათა წამების იარაღთა შორის ამისათვის სპარსელები კატასაც ჰხმა-რობენ თურმე. კატას იმ დამნაშავის გა-ლეღილს ზურგზე აბმენ, რომელიც უნდა აწამონ და გამოათქმევინონ რამე. შემდეგ დაუწყებენ ცემას კატას, რომე-ლიც ჰფხაჭნის და ჰკბენს დამნაშავის ზურგს და ამ გვარად უბრალოზედა ჰყრილობს ბრალიანის ჯავრსა. რამდე-ნისამე წუთის შემდეგ ჰკითხავენ დამნა-შავეს: აღიარებ თუ არა შენს ბრალ-საო, და თუ კიდევ უარზედ შესდგა, კვლავ კატით აწამებენ. ასე სტანჯავენ თურმე დამნაშავეს იმ დრომდე,ვიდრე ყოველსავე სათქმელს არ იტყვის. ამ წა-მებას ვერავინ იტანს თურმე, უმეტესნი ბრალსა ჰკისრულობენ, დანაშაულიც რომ არა ჰქონდეთ-რა, და ციხეში დაპა-ტიმრებით დასჯასა რჩეობენ, ასე უწყა-ლოდ წამებასა.

— ზოგიერთთ მსახურთ პენსილვა-ნიის რკინის გზისას ლაპარაკი ჰქონიათ ფილადელფიის სალოკომოტივო ქარხნის უფროს ინჟენერთან და უთქვამსთ, სხვათა შორის, რომ რკინის გზის ლოკომო-ტივის 24 საათში გაკეთება და მომზადე-ბა ყოვლად შეუძლებელიაო. უფროსი ინჟენერი-კი თავისის მხლივ ამტკიცებ-და, რომ, დღე-ღამეში-კი არა, უფრო ადრეც შეიძლება მომზადდესო. ამაზედ შელაპარაკებულან, დანაძლევებულან და დიდი ფულიც დაუდვიათ ნაძლევად. ეს ნაძლევი ინჟინერს მოუგია, რადგან ქა-რხანაში პირველ-ხარისხოვანი რკინის გზის ორთქლით მატარებელი თექვსმეტ საათსა და ორმოც-და-თხუთმეტს წუთ-ში გაუკეთებიათ. ეს ორთქლით-მატარე-ბელი ექსპერტებს გაუსინჯავთ და ძა-ლიან მოსწონებიათ.

— მადრიდში ამას წინად ერთი მკვლელობა მომხდარა, რომლის გამოც იქაურნი მკვიდრნი ძალიან აყაყანებულან. მოხუცებული მარკიზ გარელის მეუღლე ქალაქ მადრიდის შუაგულში სცხოვრო-ბდა თურმე და არავინა ჰყავნდა, ერთად-ერთის მოახლეს გარდა. წარსულის კვი-რის სამშაბათს, დილა ადრიანად, მე-ზობლებს გაუგონიათ კვნესა ამ დედაკა-ცის სახლიდგან და ამას გარდა უნა-ხავსთ, რომ ფანჯრებიდგან ბოლი გა-მოდის. მაშინვე დაუძახნიათ პოლიცია და აი რა უნახავს პოლიციას: იატაკზე გდებულა მოკლული მოხუცი დედაკაცი, რომელსაც მკერდი და თავი ხანჯლითა ჰქონია დაჩხრილი. კაბაზედ დასხმული ჰქონია პეტროლეუმი და ფეხები უკვე ისე დასწვია, რომ დანახშირებია კიდეცა. სამზარეულოს იატაკზე კიდევ გდებულა მოახლე, რომელიც სრულიად არა ყო-ფილა დაჭრილი. ამ მოახლეს უთქვამს, რომ მკვლელი მეტაკა, რაღაცა დამკრა თავში და დამარეტიანაო. წინა ღამეს მოხუცებულმა მარკიზის მეუღლემ და კიდევ ერთმა ვიღაც უმაწვილმა კაცმა ერთად ივახშმესო. ეს მოახლე დაუპა-ტიმრებიათ, რადგან ეჭვი აქვსთ თურმე მიტანილი. უველაზედ უფრო საკვირვე-ლი და საოცარი ის არის, რომ ყოვე-ლივე ძვირფასი ნივთები მოკლულისა ხელ-უხლებელი უპოვნიათ.

## დეპეშა

8 ივლისი

პეტერგოფი. გუშინ, ნასადილევს, მათნი უდიდებულესობანი წავიდნენ ალექსანდრიაში, სადაც ჩაი იყო გამ-ზადებული. ხელმწიფე იმპერატორი წაბ-ძანდა წინ მარტო; მას შემდეგ წა-ვიდნენ ეტლით: ხელმწიფე იმპერატ-რიცა, იმპერატორი ვილჰელმი, პრინ-ცი ჰენრიხი და დიდი მთავარი ვლა-დიმერ ალექსანდრეს ძე მეუღლი-თურთ. როცა თერთმეტი საათი შეს-რულდა, იმპერატორი ვილჰელმი და პრინცი ჰენრიხი დაბრუნდნენ პეტერ-გოფის დიდს სასახლეში.

დღეს დილით ათს საათსა და 15 წუთზე იმპერატორი ვილჰელმი და პრინცი ჰენრიხი წავიდნენ პეტერგო-ფიდგან პეტერბურგს იახტით, რო-მელსაც „ალექსანდრია“ ჰქვიან. იმ-პერატორი რუსის გენერლის მუნდირ-ში იყო; პრინცს ჰენრიხს ეცვა დრა-გუნის მუნდირი. იმპერატორის ამა-ლაში იმყოფებიან: გრაფი ჰერბერტ ბისმარკი, გრაფი ორლოვ-დავიდოვი, გენერალ-ადიუტანტი გლინკა-მავრი-ნი, ადმირალი ზელიონი, გრაფი შე-ვალოვი და რამდენიმე წევრი გერმა-ნიის ამალისა.

9 ივლისი

პეტერგოფი. იმპერატორების შეხ-ვედრის დროს, როცა ზარბაზნის სროლით სალამი მისცეს ერთმანეთს საიმპერატორო იახტებმა, იმპერატორი ვილჰელმი ავიდა იახტა „ალექ-სანდრიაზე“. ხელმწიფეები ერთმა-ნეთს გარდაეხვივნენ და მას შემდეგ წარდგენილ იქმნენ მათი ამალები. იმ-პერატორს ვილჰელმს ხანგრძლივი საუ-ბარი ჰქონდა სტატს-სეკრეტარ გირს-თან; ხელმწიფე იმპერატორი-კი ესა-უბრებოდა ჰერბერტ ბისმარკს და მოიკითხა თავადი ბისმარკი, მამა ჰერ-ბერტისა. მას შემდეგ იმპერატორები მარტოდ დარჩნენ და დიდს ხანს საუბ-რობდნენ. საგვარეულო სადილს გარდა სამეფო გვარის წევრთათვის გამართული იყო სამინისტრო სადი-ლი. ამ სადილზე მასპინძლობდა მის უდიდებულესობის კარის მინისტრი და აგრეთვე დაესწრნენ გრაფ ჰერ-ბერტ ბისმარკი, სტატს-სეკრეტარი გირსი და მათ უდიდებულესობათა ამალები.

სამეფო ნავთ-სადგურზე პეტერბურგ-ში გერმანიის იმპერატორს მიეგებნენ: თანაშემწე ზღვათა შტაბის უფროსი-სა, კონტრ-ადმირალი ტირტოვი, კო-მანდირი პეტერბურგის პორტისა, კონტრ-ადმირალი შეფნერი, შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგი შებეკო და ქალაქის უფროსი გრესსერი. სა-მეფო ნავთ-სადგურიდგან გერმანიის იმ-პერატორი, პრინცი ჰენრიხი, ჰერბერტ ბისმარკი და ამალა წავიდნენ ნავე-ბით პეტრე-პავლეს ციხეში. აქ იმათ მიეგება ციხის კომენდანტი სხვა მო-სამსახურე კაცებითურთ. შევიდნენ თუ არა სობოროში, იმპერატორმა ვილჰელმმა და პრინცმა ჰენრიხმა დაა-დეს ცოცხალის ყვავილის გვირგვი-ნები იმპერატორის ალექსანდრე მეო-რისა და იმპერატრიცა მარია ალექ-სანდრეს ასულის საფლავებს. ერთს გვირგვინზე ეწერა „ვილჰელმი“ და მეორეზე „ჰენრიხი“. შემდეგ ნახეს პეტრე დიდის სახლი. ნახეს აგრეთვე ციხის გარნიზონი და შემდეგ იმპერა-ტორი და პრინცი წავიდნენ იახტით პეტერგოფს.

ამ დღესვე იმპერატორმა ვილჰელმმა ინახულა ორანიენბაუმში მისი უმაღ-ლესობა ეკატერინე მიხეილის ასუ-ლი.

გამოცხადებულია ცვლილება წეს-დებისა იმათ შესახებ, ვინც თავისის ნე-ბით შედის ფლოტში სასამსახუროდ; აგრეთვე გამოცხადებულია ს. ხელმწი-ფო საქმის დადგენილება იმ საშუა-ლებათა შესახებ, რომელთაც საგნად აქვსთ განაკარგონ სპირტ-საწმენდი მრეწველობა,—წესი სპირტის საზღვარ-გარეთ გატანის თაობაზე და ცვლილება და დამატება აქციზის წესდებისა შე-სახებ ნავთის სანათურ ზეთისა.

პეტერბურგის ბირჟა, 8 ივლისი

| | მყიდვე-ლა. | გამყიდვე-ლნი. | გაკეთე-ბისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | — „ | — „ | 8 47 |
| ტამოჟნის კუპონები . . | — „ | — „ | 169 |
| მანათიანი ვერცხლის ფული . . . . | — „ | 1 33 | — „ |
| 5% პირველის შინა-განის სესხის მომგები ბილეთი . . . . . | — „ | — „ | 269 |
| —მეორისა . . . . . | — „ | — „ | 251¾ |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა . | — „ | — „ | — „ |
| ქუთაისის ბანკისა . . . | — „ | — „ | — „ |
| ტფილისის საურთი-ერთო ნდობის საზო-გადოებისა . . . . . | — „ | — „ | — „ |

### საკალენდარო ცნობანი

ქრისტეს აქეთ ჩყპჱ (1888) წელი წარღვ-ქვეყნის შექმნიდამ 7396.

ძველი ინდიქტიონი მე-14, ამისი ქორონიკონი—უპ=480 წე-ლია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.

ახალი ინდიქტიონი მე-4, ამისი ქორონიკონი—მდ=44 წელიწადია. დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.

1888 წლის ზედ-ნადებია—25.

მკათათვე 31 დღით არის.

10 დღე კვირა. 45 წამებულთა ნი-კოპოლეში. კათოლ. შვიდთა ძმათა წამებულ-თა. სომეხ. ქორწინების ნება ეძლევათ.—ჭე-შმარიტი შუა-დღე 12—6. ტფილისში მზე ამოდის 4—44, ჩადის 7—28. მთვარე 14 დღისაა.

11 დღე ორშაბათი. ევფემიასი. კა-თოლ. პაპა პია I-სა. სომეხ. წამ. ანტონინა-სი. მუსულ. მე-14 რიცხვი თვისა ზილ-ყაადესი, 1305 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 12—6. ტფილისში მზე ამოდის 4—45, ჩადის 7—27. მთვარე 15 დღისაა. დილის 6 საათზედ მთვარე დაბნელდება.

### გამოსადეგი ცნობანი

ნიხრი

1 ივლისიდამ 1 აგვისტომდე

| | |
|---|---|
| თეთრი პური რუსული 1 გირ. . | 5 კაპ. |
| პური 1-ის ხარისხისა. . | 3 „ |
| „ 2 „ | 2½ „ |
| თონის წითელი პური 1-ის ხარის. | 5 „ |
| „ „ 2— | 3½ „ |
| „ „ 3 „ | 3 „ |
| ჯვარის მამის პურის ლავაში | „ |
| 1-ლის ხარისხისა . . | 5 „ |
| მე-2 ხარისხისა . . | 4 „ |
| მე-3 — . . . | „ „ |
| ძროხის ხორცი . . . | 8 „ |
| „ 2 „ | 7 „ |
| სუკი . . . . | 14 „ |
| ცხვრის ხორცი 1-ლის ხარისხისა. | 8 „ |
| ღორის ხორცი . . . | „ „ |
| „ 2 „ | „ „ |

### მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზე

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათო-ბით ნაშუადღევის 4 საათზედ მოკლე გზით და ნოვოროსიისკსა და კერჩში შევლის.

შაბათობით საღამოს 8 საათზე შო-რის გზით (ყველა ნავთ-სადგურებში შე-ივლის).

კვირაობით საღამოთი, საზღვარ-გარეთ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამ-შაბათობით შუა-ღამისას შორის გზით.

პარასკევობით დილით ოდესიდამ მოკლეს გზით (კერჩსა და ნოვორო-სიისკში შესვლით).

შაბათობით დილით სტამბოლიდამ.

ფოთიდამ ბათუმში მოდის: სამ-შაბათობით—იმის შემდეგ, როცა სო-ხუმიდამ მოდის გემი შორის გზით, ხუთშაბათობით—დილის 9 საათზე და მიასწრობს მოკლეს გზით მოსიარულე კავკასიისა და ყირიმის გემსა.

შაბათობით დილის 9 საათზე და მიასწრობს შორის გზით მოსიარულე კავკასია-ყირიმისა და რუმელია-ანატო-ლიისკენ წამსვლელს გემებს.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარა-სკევობითა და კვირაობით, რაკი გე-მი მოვა ფოთიდამ, ბათუმის სააგენტო გადასწყვეტს ხოლმე, როდის წავა უკან.

ამას გარდა ყოველ-კვირა ფოთში მო-დიან ოდესიდამ და ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურიდამ გადაწყვეტილს ვადაზე გემები.

კვირაობით, საღამოზე, და სამშა-ბათს ბათუმისკენ მიდიან, რაკი თავის საქმეებს გაათავებენ. მერე ბათუმიდამ პარასკევობით მიდიან ყირიმ-კავკასიის ნავთ სადგურებისაკენ, ხოლო თუ საჭი-როა, ფოთშიაც შეივლიან ხოლმე.

რუსეთის სანაოსნო საზოგადოების სააგენტო იმყოფება სასახლის ქუჩაზე, ბანკის ქარვასლაში, № 101.

## განცხადებანი

ამა მდგომარე 1888 წ. ენკენის-თვისათვის ქუთაისის სათავად-აზნაუ-რო სასწავლებლის პირველს განყო-ფილებაში ორმოც-და-ორი (42) ვა-კანსია იქნება; მეორე, მესამე და მე-ოთხე განყოფილებაში ვაკანსია სულ არ არის და აგრეთვე არ არის ვაკანსია პირველსა და მეორე პროგიმნაზიულს კლასებში. პროგიმნაზიის მესამე და მეოთხე კლასებში არის ვაკანსიები, არა ნაკლებ ათ-ათისა თვითოეულში. პირველს განყოფილებაში შემომსვ-ლელთ ეგზამენი არ მოეთხოვებათ. თხოვნა ინსპექტორის სახელზე უნდა შემოიტანონ 20 აგვისტოდამ 25 აგ-ვისტომდე და ამასთანავე უნდა წარ-მოადგინონ წლოვანობისა და აზნაუ-რობის მოწმობანი. თუ აზნაურობის მოწმობა არ ექნებათ, ბანკის მოწმო-ბა (კვიტანცია) მაინც უნდა წარმოა-დგინონ, რომ ყმაწვილის მშობლები (დედა, ან მამა) ბანკის დამფუძნებელ-თა წევრთა შორის ითვლებიან.

25 აგვისტოს დაიწყება მისაღები და ხელ-ახალი ეგზამენები და გათავ-დება 31 აგვისტოს რიცხვში.

სწავლა დაიწყება პირველს სექტემ-ბერს.

ინსპ. ბ. ჟორჟოლიანი

(6—1)


უკანასკნელი დღეები!!

ქ. ტფილისში

მიხაილოვის ხიდთან მირზოევის სახლში (№ 48) რამდენისამე დღის განმავლობაში აჩვენებენ

არა-ჩვეულებრივს სანახავს:

ძალიან იშვიათი და მეტად საინტერესო

ინდოელი ქალი

მისს პასტრელი,

თეთრისა და შავის კანისა.

შესანიშნავი ნიმუში ბუნებისა.

გრძნეული და მბრძანებელი გველებისა (Boa Constrictoer, რომელიც სიგრძით ხუთი ადლია, და Phyton Anaconda, სიგრძით შვიდ-ნახევარი ადლი და წო-ნით ორი ფუთი და ნახევარი).

ეს შესანიშნავი ნიმუშია ბუნებისა, რომლის მსგავსი არ უნახავთ ამ სა-ქვეყნოში.

ნახვა შეიძლება ყოველ-დღე: დილის ათ საათიდგან ნაშუადღევის პირველ საა-თამდე და საღამოს ხუთ საათიდგან ათ საათამდე.

ფასი სანახევროდ დაკლებულია 10 კაპ.

ვემებ ფრანგულის ენის გაკვეთილებს.

მსურველებს შეუძლიანთ ამბა-ვი შეიტყონ ჩიმიშკიანის შენო-ბაში, პირველის ნაგორნის ქუ-ჩის ბოლოს. პეტრე მირიანაშვილი

(10—4)

ნაფიცი ვექილი

ა. მ. ჭყონია

გადავიდა სადგომად ნიკოლოზის ქუჩაზე, № 72.

(3—3)

გამოვიდა და ისყიდება ყველა წიგნის მაღაზიებში:

ისტორიული მოთხრობა ქართველთა ცხოვრებიდამ

„მარინე“

გადმოკეთებული ვალიკო გუნიას მიერ.

ფასი ექვსი შაური.